

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

გადასტურებ და ვეთანხმები ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

- **აქციის დასახელება: "რეგიონების აქცია"**
- **აქციის პირობები:**

1. "რეგიონების აქციის" (შემდგომში "აქცია") ფარგლებში, აბონენტები შეძლებენ მიიღონ ქვემოთ მოცემულ გარკვეული მომსახურებები/შეთავაზებები, **სტარტიფო ცხრილი N1- ით** განსაზღვრულ ფასად.

2. აქცია ვრცელდება აბონენტებზე, რომლებიც დარეგისტრირდებიან შემდეგ მომსახურებებზე:

- 2.1. ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ცალკე მდგომ ოპტიკურ ინტერნეტზე, ოპტიკური ინტერნეტსა და სილქფონზე ერთდროულად ან S1 სამმაგ შეთავაზებაზე.
 - 2.2. ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე (ინტერნეტი და სილქ ტვ ერთად) ან მომსახურების ნებისმიერ კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას (მაგრამ არ წარმოადგენს სამმაგ შეთავაზებას).
 - 2.3. ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან DSL ინტერნეტ და DSL სილქ ტვ მომსახურებაზე ერთდროულად, ან მომსახურების ნებისმიერ კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას (მაგრამ არ წარმოადგენს სამმაგ შეთავაზებას).
 - 2.4. ოპტიკური ინტერნეტ (ან ოპტიკური ინტერნეტი და სილქფონი ერთად) მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას ან მომსახურებებს, რომელიც მოიცავს სილქ ტვ მომსახურებას და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე.
 - 2.5. DSL ინტერნეტ მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე.
 - 2.6. ოპტიკური სილქ ტვ (ან სილქ ტვ და სილქფონი ერთად) მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებას ან მომსახურებებს (რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე (მაგრამ არ წარმოადგენს სამმაგ შეთავაზებას).
 - 2.7. მხოლოდ რუსთავში, ქობულეთში, ფოთში, ზუგდიდში, ზესტაფონსა და ხაშურში, ოპტიკური მომსახურებ(ებ)ის მიმღები აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტით (ან ინტერნეტი და სილქფონი ერთად) ან S1 სამმაგ შეთავაზებით, ასევე ორმაგი შეთავაზებით (ინტერნეტი და სილქ ტვ ერთად), ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურებით (რომელიც ერთდროულად მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებებს (მაგრამ არ წარმოადგენს სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებას)), აქციის პირობებით ისარგებლებენ ასეთის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
 - 2.8. მხოლოდ ქ. რუსთავში, ქ. ქობულეთში, ქ. ფოთში, ქ. ზუგდიდში, ქ. ზესტაფონსა და ქ. ხაშურში, DSL მომსახურებ(ებ)ის მიმღები აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ DSL სილქ ტვ მომსახურებით, ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურებით (რომელიც მოიცავს სილქ ტვ მომსახურებას, და არ წარმოადგენს სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებას), აქციის პირობებით ისარგებლებენ ასეთის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
 - 2.9. მხოლოდ თელავში, ოპტიკური მომსახურებ(ებ)ის მიმღები აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტით (ან ინტერნეტი და სილქფონი ერთად) ან S1 სამმაგ შეთავაზებით, ასევე ორმაგი შეთავაზებით (ინტერნეტი და სილქ ტვ ერთად), ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურებით (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტს ერთად, მაგრამ არა სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზება) აქციის პირობებით სარგებლობაზე სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში.
3. აქციაზე **რეგისტრაციის პერიოდი** განისაზღვრება **2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით**.
 4. აქციის პირობით **ინსტალაციის პერიოდი** განისაზღვრება **2019 წლის 1 მარტის ჩათვლით**. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ, მომსახურებების ინსტალაციის შემთხვევაში აბონენტი ვერ ისარგებლებს აქციის პირობებით. 2.9. პუნქტით განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ის მიმღებ აბონენტებზე, წინამდებარე აქციის პირობები გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ 2.9. პუნქტით განსაზღვრული მომსახურებ(ებ)ის **ინსტალაცია განხორციელდება 2017 წლის 18 ოქტომბრიდან - 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში**.
 5. აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება აქციაზე **რეგისტრაციიდან 3 (სამი) წლის ვადით**.
 6. აქციის ფარგლებში ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების (ან ინტერნეტი და სილქფონი ერთად) ან S1 სამმაგ შეთავაზების აბონენტებისთვის ინტერნეტ მომსახურების "სტარტ+" პაკეტის ღირებულება განისაზღვრება 20 (ოცი) ლარის ოდენობით.
 7. ოპტიკურ ორმაგი (სილქ ტვ და ინტერნეტი) შეთავაზების, ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურების (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტს ერთად, არა სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზება) აბონენტებისთვის ოპტიკური ინტერნეტის "სტარტ+" პაკეტის ღირებულება განისაზღვრება 14 (თოთხმეტი) ლარის ოდენობით.
 8. ოპტიკურ ორმაგი (სილქ ტვ და ინტერნეტი) შეთავაზების, ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურების (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტს ერთად, არა სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზება) ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების "ლაით" პაკეტის ღირებულება განისაზღვრება 11 (თერთმეტი) ლარის ოდენობით.

9. მე-8 პუნქტით განსაზღვრული სილქ ტვ მომსახურებაზე აქციის პირობით მოსარგებლე აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ დამატებით ისარგებლონ აქციის შემდეგი პირობით: სილქ ტვ მომსახურების "კინო" და "პლიუსი" თემატური პაკეტების ერთდროულად არჩევას, თითოეული თემატური პაკეტის ღირებულება აქციის ფარგლებში განისაზღვრება 3 (სამი) ლარის ოდენობით.
10. DSL ინტერნეტ და DSL სილქ ტვ მომსახურების ერთად, ან მომსახურებების ნებისმიერი კომბინაციის (რომელიც მოიცავს DSL ინტერნეტ და DSL ტვ მომსახურებებს, არა DSL სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზება) მიმღები აბონენტებისთვის DSL სილქ ტვ მომსახურების "ლაით" პაკეტის ღირებულება აქციის ფარგლებში განისაზღვრება 7 (შვიდი) ლარის ოდენობით.
11. მე-10 პუნქტით განსაზღვრული პირობით მოსარგებლე აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ დამატებით ისარგებლონ აქციის შემდეგი პირობით: DSL სილქ ტვ მომსახურების "კინო" და "პლიუსი" თემატური პაკეტების ერთდროულად არჩევას, აღნიშნული თემატური პაკეტის ღირებულება გათვალისწინებული იქნება DSL სილქ ტვ მომსახურების აქციის ფარგლებში განსაზღვრული სააბონენტო გადასახადის ფარგლებში.
12. მხოლოდ რუსთაველი და ქობულეთში DSL ინტერნეტ და DSL სილქ ტვ მომსახურების ერთად, ან მომსახურებების ნებისმიერი კომბინაციის (რომელიც მოიცავს DSL ინტერნეტ და DSL ტვ მომსახურებებს, არა DSL სამმაგი/ოთხმაგი) მიმღები აბონენტებისთვის, DSL სატელევიზიო მომსახურების "ლაით" პაკეტის ღირებულება განისაზღვრება 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.
13. მე-12 პუნქტით განსაზღვრული პირობით მოსარგებლე აბონენტებს შესაძლებლობა აქვთ დამატებით ისარგებლონ აქციის შემდეგი პირობით: სილქ ტვ მომსახურების "კინო" და "პლიუსი" თემატური პაკეტების ერთდროულად არჩევას, თითოეული თემატური პაკეტის ღირებულება აქციის ფარგლებში განისაზღვრება 3 (სამი) ლარის ოდენობით.
14. აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებით ერთდროულად, ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურებით (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტს ერთად, არა სამმაგი შეთავაზება) და გააქტიურებული აქვთ მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების პაკეტები, არ არის შეზღუდული მე-7 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებიდან ერთ-ერთის გააქტიურების შესაძლებლობა. ამ ორიდან ერთ-ერთი პირობის გააქტიურების შემდეგ, მეორე პირობის მოგვიანებით გააქტიურება არ იწვევს აქციის მოქმედების ვადის ცვლილებას. აქციის მოქმედების პერიოდი აითვლება ამ ორი პირობიდან პირველად გააქტიურებული პირობის გააქტიურების დღიდან.
15. აბონენტები, რომლებიც ერთდროულად სარგებლობენ ოპტიკური/DSL ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებით, ან ერთ სააბონენტო ანგარიშზე სამი მომსახურებით (რომელიც მოიცავს სილქ ტვ და ინტერნეტს ერთად და არ წარმოადგენს სამმაგ შეთავაზებას) და ინტერნეტ მომსახურებაზე გააქტიურებული აქვთ აქციასთან არა თავსებადი პაკეტები, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სილქ ტვ მომსახურების აქციის პირობებით.
16. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტი, მე-3 პუნქტით განსაზღვრულ (აქციის პირობებით რეგისტრაციის) პერიოდში დაიმატებს მომსახურებას (რომელზეც უნდა გააქტიურდეს აქციის პირობები) და აღნიშნული მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში, აქციის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება თავიდან (შემდგომ დამატებულ მომსახურებაზე აქციის პირობების გააქტიურების დღიდან).
17. აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტებს, რომლებიც არ სარგებლობენ მე-9, მე-11 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით, მე-3 პუნქტით განსაზღვრული (აქციის პირობებით რეგისტრაციისას) ვადის ამოწურვამდე, სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვთ დაიმატონ მე-9, მე-11 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული თემატური პაკეტები, ამავე პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. აღნიშნული თემატური პაკეტების აქციის ფარგლებში დამატებით, აქციის მოქმედების ვადა არ ექვემდებარება ცვლილებას.
18. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტი უარს იტყვის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პირობებით სარგებლობაზე და გააუქმებს თემატურ პაკეტებს, მას არ შეეზღუდება მე-8 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით სარგებლობის უფლება.
19. აქციის პირობით რეგისტრაციის ან აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს უფლება აქვს უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე (გარდა 28-ე პუნქტით განსაზღვრული პირობისა). ამასთან, არ არის შეზღუდული აქციის ხელახლა გააქტიურების უფლება 2.7., 2.8. და 2.9 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების მიმღები აბონენტები იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული. აქციის ხელახლა გააქტიურების შემთხვევაში აქციის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება თავიდან.
20. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობით დარეგისტრირებული აბონენტი, აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ, მაგრამ აქციის პირობებით დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის ვადის დასრულებამდე, იმავე ანგარიშზე დაარეგისტრირებს სხვა მომსახურებას (გარდა დამატებითი სატელევიზიო სააბონენტო წერილისა), აბონენტი ვერ ისარგებლებს აქციის პირობით.
21. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის / აქციიდან გასვლის / აქციის პირობების შეწყვეტის შემდეგ განხორციელდება აქციის ფარგლებში გააქტიურებული ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების, ასევე აქციის ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტების პაკეტების (გარდა "მიქსი" თემატური პაკეტისა) სტანდარტული ღირებულება. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის / აქციიდან გასვლის / აქციის შეწყვეტის შემდეგ, აბონენტს შეუწყდება თემატური პაკეტით "მიქსი" სარგებლობის უფლება.
22. აქციის პირობები არ ვრცელდება DSL და ოპტიკურ სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებებზე.
23. მე-8, მე-10 და მე-12 პუნქტებით განსაზღვრულ აბონენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიქტიურონ წინამდებარე აქციის ფარგლებში შექმნილი ახალი თემატური პაკეტი "მიქსი" სილქ ტვ-ის სააბონენტო გადასახადების ფარგლებში.
24. მე-8, მე-10 და მე-12 პუნქტით განსაზღვრული აბონენტებს, ამავე პუნქტებით განსაზღვრული აქციის პირობებზე რეგისტრაციისას ავტომატურად გაუქტიურდებათ 23-ე პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტი "მიქსი".
25. მე-8, მე-10 და მე-12 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტებს, 23-ე პუნქტით განსაზღვრული "მიქსი" თემატური პაკეტი გაუქტიურდებათ ავტომატურად.
26. შემდეგ გეოგრაფიულ ზონებში: ქუთაისში, გორში, ბათუმში, ხელვაჩაურში, თელავში, ველისციხეში და კაბალში 2.4. და 2.6. პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, სილქ ტვ მომსახურების აქციის პირობებით სარგებლობისთვის აუცილებელია მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული პირობები გააქტიურდეს ორივე ერთად.

27. შემდეგ გეოგრაფიულ ზონებში: ქუთაისი, ბათუმი, გორი, თელავი, ველისციხე, კაბალი, ახალციხე, გარდაბანი, გურჯაანი, კასპი, ლაგოდეხი, მარნეული, საგარეჯო, სამტრედია, სენაკი, ყვარელი, ხელვაჩაურსა და ბაკურიანში, აქციის პირობებით ვერ ისარგებლებენ ისეთი აბონენტები რომელთაც, მომსახურების მოწყობის მისამართზე (სადაც ხდება აქციის პირობით რეგისტრაცია), 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უფიქსირდებათ ის მომსახურება/მომსახურებები, რომელი მომსახურებ(ებ)ითაც სურთ რომ დარეგისტრირდეს აქციაზე.
28. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ ჩერდება.
29. აქციაში ჩართული აბონენტების მიერ (გარდა 30-ე პუნქტით აღწერილი გამონაკლისი პირობისა) ინტერნეტ მომსახურების (ან ინტერნეტ და სილქფონ მომსახურების) გაუქმების შემთხვევაში, შეწყდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება სატელევიზიო მომსახურებაზე, ხოლო სატელევიზიო მომსახურების (ან სილქ ტვ მომსახურება და სილქფონი) გაუქმების შემთხვევაში, აბონენტს შეუწინაღობება ინტერნეტ მომსახურება მე-6 პუნქტში განსაზღვრული პირობით.
30. შემდეგ გეოგრაფიულ ზონებში: ქუთაისი, გორი, ბათუმი, ხელვაჩაური, თელავი, ველისციხე და კაბალი, 2.4. და 2.6. პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებით აქციაში ჩართული აბონენტების მიერ, აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის პირობით ჩართული სილქ ტვ (ან ტვ და სილქფონი ერთად) მომსახურებ(ებ)ის, ან აღნიშნული მომსახურებ(ებ)ის განაცხადის (ინსტალაციამდე) გაუქმებისას, აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობები და ინტერნეტ მომსახურებაზე დაერიცხება სტანდარტული სააბონენტო ღირებულება.
31. აქციის ფარგლებში დარეგისტრირებული მომსახურებების (მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების/მომსახურებების კომბინაციების(გარდა 2.7., 2.8. და 2.9 ქვეპუნქტისა) ინსტალაციის ღირებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში.
32. 31-ე პუნქტით განსაზღვრული ღირებულება იმოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ აბონენტები არ დარეგისტრირდებიან წინამდებარე დანართის მე-5-დან 27-ე პუნქტის ჩათვლით განსაზღვრული აქციის პირობებით (აბონენტს არ აქვს 31-ე პუნქტით განსაზღვრულ პირობაზე უარის თქმის შესაძლებლობა).
33. აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის ფარგლებში ჩართული ინტერნეტ ან/და სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო პაკეტის სხვა პაკეტებით ცვლილებისას (ისეთ პაკეტზე გადასვლისას, რომელზეც არ ვრცელდება აქცია) აბონენტს (იმ მომსახურებაზე, რომელზეც განხორციელდება სააბონენტო პაკეტის ცვლილება) შეუწყდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება და დაერიცხება ძირითადი/დამატებითი ინტერნეტ ან/და ტვ სააბონენტო პაკეტების სტანდარტული ღირებულება. ტვ მენიუდან აბონენტებს შეეზღუდებათ აქციასთან არათავსებადი სააბონენტო პაკეტის გააქტიურების შესაძლებლობა.
34. ინტერნეტ ან/და სილქ ტვ მომსახურების სააბონენტო პაკეტების (რომელზეც არ ვრცელდება აქცია), აქციაში მონაწილე სააბონენტო პაკეტებით ცვლილებისას, აბონენტს, სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს დარეგისტრირდეს აქციის პირობებით, იმ შემთხვევაში, თუ მე-3 პუნქტით განსაზღვრული (აქციის პირობებით რეგისტრაციის) პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტებზე არ ვრცელდება 27-ე პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა.
35. იმ შემთხვევაში, თუ 2.7., 2.8. და 2.9 ქვეპუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს, სტანდარტული პირობებით გააქტიურებული აქვთ თემატური პაკეტები "კინო" ან "პლიუსი", მათ არ შეეზღუდებათ აღნიშნული თემატური პაკეტების გაუქმების და წინამდებარე აქციის პირობებით ხელახლა გააქტიურების შესაძლებლობა.
36. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს 23-ე პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტით, არ ეზღუდება აღნიშნული თემატური პაკეტის გაუქმების და გაუქმების შემდეგ, ამავე თემატური პაკეტის წინამდებარე აქციის პირობებით ხელახლა გააქტიურების შესაძლებლობა.
37. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი სარგებლობს 23-ე პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტით და აქციის მოქმედების პერიოდში, განხორციელდეს სილქ ტვ მომსახურების ძირითადი სააბონენტო პაკეტის აქციასთან არათავსებადი სხვა სააბონენტო პაკეტით ცვლილებას, აბონენტს შეუწყდება 23-ე პუნქტით განსაზღვრული თემატური პაკეტით სარგებლობის უფლება.
38. **მომსახურების მოწყობის მისამართის ცვლილებისას**, აბონენტს ახალ მისამართზე უწყდება მისამართის ცვლილებამდე გააქტიურებული აქციით სარგებლობის უფლება.
39. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების რეგისტრაცია მოხდება აქციის პირობებით.
40. იმისთვის, რომ ახალ მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს აქციის პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.
41. **ტექნოლოგიის ცვლილებისას**, აბონენტს უწყდება ტექნოლოგიის ცვლილებამდე გააქტიურებული აქციით სარგებლობის უფლება.
42. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების რეგისტრაცია მოხდება აქციის პირობებით.
43. იმისთვის, რომ ახალ ტექნოლოგიაზე გადასვლისას, აბონენტმა ისარგებლოს აქციის პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

სატარიფო ცხრილი N1

მომსახურების დასახელება	ღირებულება (ლარი)
აქციის ფარგლებში მომსახურების ინსტალაციის ღირებულება	გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში
კერძო სექტორის (კერძო სახლებით დასახლებული უბნები) აბონენტებისთვის	მომსახურებების ინსტალაციის ღირებულება (გარდა აბონენტის სახლამდე ოპტიკური ქსელის მოწყობის ღირებულებისა) გათვალისწინებულია შესაბამისი მომსახურების სააბონენტო გადასახადში;

მომსახურების ტარიფები მოქმედებს აბონენტებზე რომლებიც აქციის პირობებით დარეგისტრირდნენ 22.01.2018 -თარიღის ჩათვლით		
მომსახურების დასახელება	აქციის ფასი, რომელიც ვრცელდება შემდეგ გ/ზონებზე: ყველა გ/ზონა, გარდა რუსთავისა და ქობულეთისა	აქციის ფასი, რომელიც ვრცელდება შემდეგ გ/ზონებზე: რუსთავი, ქობულეთი
პაკეტის მახასიათებლები	ფასი აქციის ფარგლებში	ფასი აქციის ფარგლებში
ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტი		
ოპტიკური ინტერნეტის "სტარტ +" პაკეტი	20 ლარი	20 ლარი
ოპტიკური ორმაგი (სამი პროდუქტი ერთ ანგარიშზე) შეთავაზება პირველი 6 თვე		
ოპტიკური ინტერნეტის "სტარტ +" პაკეტი	8 ლარი	8 ლარი
სილქ ტვ "ლაით" პაკეტი	10 ლარი	10 ლარი
ოპტიკური ორმაგი (სამი პროდუქტი ერთ ანგარიშზე) შეთავაზება 6 თვის შემდეგ		
ოპტიკური ინტერნეტის "სტარტ +" პაკეტი	14 ლარი	14 ლარი
სილქ ტვ "ლაით" პაკეტი	11 ლარი	11 ლარი
ოპტიკურ ორმაგ (სამი პროდუქტი ერთ ანგარიშზე) შეთავაზებასთან ერთად ამ ორი თემატურის ერთდროულად გააქტიურებისას		
თემატური პაკეტი "კინო "	3 ლარი	3 ლარი
თემატური პაკეტი "პლიუსი"	3 ლარი	3 ლარი
დსლ-ის პირობები (სამი პროდუქტის შემთხვევაში) პირველი 6 თვე		
დსლ ინტერნეტის ნებისმიერი პაკეტი	8 ლარი	8 ლარი
სილქ ტვ "ლაით" პაკეტი	10 ლარი	10 ლარი
დსლ-ის პირობები (სამი პროდუქტის შემთხვევაში) 6 თვის შემდეგ		
დსლ ინტერნეტის პაკეტი	სტანდარტული ღირებულება	სტანდარტული ღირებულება
სილქ ტვ "ლაით" პაკეტი	7 ლარი	5 ლარი
დსლ შეთავაზებაში (სამი პროდუქტი) ამ ორი თემატურის ერთდროულად გააქტიურებისას		
თემატური პაკეტი "კინო "	სილქ ტვ "ლაით" პაკეტის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში	3 ლარი
თემატური პაკეტი "პლიუსი"	სილქ ტვ "ლაით" პაკეტის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში	3 ლარი
თემატური პაკეტი "მიქსი"	გათვალისწინებულია სილქ ტვ-ის სააბონენტო გადასახდელში	

მომსახურების ტარიფები მოქმედებს აბონენტებზე რომლებიც აქციის პირობებით და რეგისტრირდებიან 23.01.2018 თარიღიდან		
მომსახურების დასახელება	აქციის ფასი, რომელიც ვრცელდება შემდეგ გ/ზონებზე: ყველა გ/ზონა, გარდა რუსთავისა და ქობულეთისა	აქციის ფასი, რომელიც ვრცელდება შემდეგ გ/ზონებზე: რუსთავი, ქობულეთი
პაკეტის მახასიათებლები	ფასი აქციის ფარგლებში	ფასი აქციის ფარგლებში
ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტი		
ოპტიკური ინტერნეტის "სტარტ +" პაკეტი	20 ლარი	20 ლარი
ოპტიკური ორმაგი (სამი პროდუქტი ერთ ანგარიშზე) შეთავაზება		
ოპტიკური ინტერნეტის "სტარტ +" პაკეტი	14 ლარი	14 ლარი
სილქ ტვ "ლაით" პაკეტი	11 ლარი	11 ლარი
ოპტიკურ ორმაგ (სამი პროდუქტი ერთ ანგარიშზე) შეთავაზებასთან ერთად ამ ორი თემატურის ერთდროულად გააქტიურებისას		
თემატური პაკეტი "კინო "	3 ლარი	3 ლარი
თემატური პაკეტი "პლიუსი"	3 ლარი	3 ლარი

დსლ ტვ-ს პრობლემა (სამი პროდუქტის შემთხვევაში)		
სილქ ტვ "ლაით" პაკეტი	7 ლარი	5 ლარი
დსლ შეთავაზებაში (სამი პროდუქტი) ამ ორი თემატიკის ერთდროულად გააქტიურებისას		
თემატიკური პაკეტი "კინო "	სილქ ტვ "ლაით" პაკეტის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში	3 ლარი
თემატიკური პაკეტი "პლიუსი"	სილქ ტვ "ლაით" პაკეტის სააბონენტო გადასახადის ფარგლებში	3 ლარი
თემატიკური პაკეტი "მიქსი"	გათვალისწინებულია სილქ ტვ-ის სააბონენტო გადასახდელში	

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____